

საპარტნიორო შეთანხმება

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდსა“

და

„.....“

შორის

თბილისი
2021 წელი

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში "შეთანხმება") გაფორმებულია
(შემდგომში "ხელმოწერის თარიღი") შემდეგ მხარეებს შორის:

- (1) სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაარსებული და მოქმედი საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 404391975; მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #8, მე-4 სართ. (შემდგომში "GEDF"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჩიქოვანის სახით;
- (2) (შემდგომში "პარტნიორი");

პრეამბულა:

მხარეები აფორმებენ წინამდებარე შეთანხმებას იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ თავიანთი ურთიერთობები, როგორც ერთობლივი საწარმოს მომავალმა პარტნიორებმა და უზრუნველყონ ერთობლივი საწარმოს სამომავლო მართვა და ფუნქციონირება;

შემდგომ ტექსტში „GEDF“ და „პარტნიორი“ ერთობლივად იწოდება როგორც „პარტნიორები“ და/ან „მხარეები“

1. ტერმინთა განმარტებები:

“შესყიდვის ოფციის დასრულების თარიღი” ნიშნავს თარიღს არა უადრეს 10 (ათი) დღისა და არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა შესყიდვის ოფციის გამოყენების შესახებ შეტყობინების თარიღიდან.

“შესყიდვის ოფციის პერიოდი” ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება პროექტით გათვალისწინებული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის დღეს („შესყიდვის ოფციის გახსნის თარიღი“) და მთავრდება შესყიდვის ოფციის გახსნის თარიღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

“გაყიდვის ოფციის პერიოდი” ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება პროექტით გათვალისწინებული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის დღეს („გაყიდვის ოფციის გახსნის თარიღი“) და მთავრდება მიყიდვის ოფციის გახსნის თარიღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

“გაყიდვის ოფციის დასრულების თარიღი” ნიშნავს თარიღს არა უადრეს 10 (ათი) დღისა და არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა მიყიდვის შესახებ შეტყობინების თარიღიდან.

"პროექტი" ნიშნავს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე 5 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებასთან, ფინანსირებასთან, მშენებლობასთან და ოპერირებასთან. სიცხადისთვის, პროექტი სავარაუდოდ მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

ა) პროექტის განვითარების საქმიანობები

- საქართველოს მთავრობასთან ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენა;
- მშენებლობის ნებართვის აღება;
- ბაზრის კვლევა;
- პროექტის ფაზა 2-ის ბიზნეს გეგმის შემუშავება;

ბ) შესყიდვები და მშენებლობა:

- საჭირო დანადგარების შესყიდვა;
- მშენებლობა;
- ექსპლუატაციაში გაშვება;

გ) პროექტის ოპერირება და ენერჯის გენერირება:

- ელექტროენერჯის გენერირება და ვაჭრობა;
- ოპერირება და მოვლა-პატრონობა;

2. პროექტი უნდა დაიყოს ორ ფაზად, როგორც ქვემოთაა განსაზღვრული:

2.1 “ფაზა 1” შედგება ყველა საქმიანობისგან, რომელიც ემსახურება პროექტის განვითარებას, როგორც ეს მოცემულია პროექტის განმარტების (ა) ქვეპუნქტში - პროექტის განვითარების საქმიანობები. აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმების გაფორმებიდან 6 თვეს. პროექტის განვითარების საქმიანობების დასრულების შემდეგ, თუ ყველა მხარე დაეთანხმება პროექტის გაგრძელებას, ისინი უნდა გადავიდნენ ფაზა 2-ის განხორციელებაზე, როგორც ქვემოთაა მოცემული:

2.2 “ფაზა 2” შედგება ყველა საქმიანობისაგან, როგორც ეს მოცემულია პროექტის განმარტების (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში.

3. ერთობლივი საწარმოს წილის გადაცემა და კაპიტალის შევსება

3.1 წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმების გაფორმებისა და 4.2 მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, GEDF პარტნიორს უსასყიდლოდ გადასცემს შპს “საქართველოს მზის კომპანიის“ (შემდგომში „ერთობლივი საწარმო“) 90%-იან წილს. აღნიშნულის გათვალისწინებით პარტნიორთა შორის წილები გადანაწილდება შემდეგი პროპორციულობით: GEDF – 10%; პარტნიორი – 90%.

3.2 ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 3,450,000 (სამი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. საწესდებო კაპიტალი შევსებულ უნდა იქნას შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

3.2.1 GEDF-ის მიერ ერთობლივი საწარმოს კაპიტალი შევსებულ უნდა იყოს 345,000 (სამას ორმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის ფულადი ან არაფულადი შენატანით, საიდანაც წინამდებარე შეთანხმების გაფორმების დღისათვის GEDF-ის მიერ უკვე განხორციელებულია 180,000 (ას ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის ფულადი და არაფულადი შენატანები (მათ შორის: ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, ქსელთან მიერთების ტექნიკური პირობა, ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ.). დაუშვებელია GEDF-ს მოეთხოვოს კაპიტალის დამატებითი შევსება.

3.2.2 პარტნიორის მიერ ერთობლივი საწარმოს კაპიტალი შევსებულ უნდა იყოს 3,105,000 (სამი მილიონ ასხუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის ფულადი ან არაფულადი შენატანით. საიდანაც 320,000 (სამას ოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის ფულადი ან არაფულადი შენატანი განხორციელებულ უნდა იქნეს შესაბამისი წილის გასხვისების ხელშეკრულების საფუძველზე, პარტნიორისთვის ერთობლივი საწარმოს 90%-იანი წილის გადაცემის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციიდან - 30 კალენდარული დღის განმავლობაში. პარტნიორის მიერ განხორციელებული არაფულადი შენატანის საბაზრო ღირებულება დადგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ მითითებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, პარტნიორის ხარჯით.

3.2.3 GEDF-მა და პარტნიორმა საწესდებო კაპიტალის დარჩენილი ნაწილის შევსება უნდა უზრუნველყონ პროექტის I ფაზის დასრულების შემდეგ, ერთობლივი საწარმოს საჭიროებების გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ კაპიტალის შევსებას ჯერ უზრუნველყოფს პარტნიორი, ხოლო შემდგომ GEDF, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან ფაქტობრივად განხორციელებული შენატანების პროპორციულობა უნდა შეესაბამებოდეს პარტნიორისა და GEDF-ის წილთა პროპორციულობას.

3.3 თუ პროექტის ფაზა 2-ის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობების დასრულებამდე არ დადგება ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალის სრულად შევსების საჭიროება, პარტნიორსა და GEDF-ს შორის წილები გადანაწილდება ფაქტობრივად განხორციელებული შენატანების შესაბამისად.

3.4 ერთობლივი საწარმოს კაპიტალი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობისთვის, როგორც ეს დადგენილი იქნება ერთობლივი საწარმოს მართვის ორგანოებით (პარტნიორთა საერთო კრება, დირექტორთა საბჭო, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე). ერთობლივმა საწარმომ უნდა შეინახოს კაპიტალის ხარჯვის ყველა სააღრიცხვო დოკუმენტი.

4. ერთობლივი საწარმოს/პარტნიორის ვალდებულებები:

4.1 ერთობლივი საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ფაზა 1-ით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, არაუგვიანეს წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში. პარტნიორი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა/გადაწყვეტილება ერთობლივი საწარმოს მიერ აღნიშნული ვალდებულების

შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

4.2 წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმების 4.1 მუხლით ერთობლივი საწარმოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით პარტნიორმა საპარტნიორო შეთანხმების ხელმოწერიდან 2 კვირის განმავლობაში GEDF-ს უნდა წარუდგინოს 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული უნდა იყოს საქართველოში ლიცენცირებული კომერციული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე 2 თვის ვადით უნდა აღემატებოდეს პროექტის ფაზა 1-ით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადას. საბანკო გარანტიის დროულად და ჯეროვნად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, GEDF უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმება.

4.3 ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში GEDF უფლებამოსილია გამოიყენოს საბანკო გარანტია და ამასთან მოითხოვოს ერთობლივ საწარმოში პარტნიორისთვის გადაცემული 90%-იანი წილის უსასყიდლოდ დაბრუნება. წილის დაბრუნების შემთხვევაში პარტნიორს არ აუნაზღაურდება წილის ღირებულება, მიუხედავად კაპიტალში განხორციელებული შენატანებისა.

4.4 წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად პარტნიორი ვალდებულია GEDF-ის სასარგებლოდ გირავნობის უფლებით დატვირთოს ერთობლივ საწარმოში მისთვის გადაცემული 90%-იანი წილი და ამ მიზნით ხელი მოაწეროს შესაბამის გირავნობის ხელშეკრულებას.

4.5 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, პარტნიორს ეკრძალება ერთობლივი საწარმოს წილის ნებისმიერი ფორმით გასხვისება ან დაგირავება, GEDF-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.6 ერთობლივი საწარმოს მიერ საქართველოს მთავრობასთან ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის/ინფორმაციის სრულად და ჯეროვნად წარდგენის მიუხედავად, თუ საქართველოს მთავრობის მიერ არ მოხდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება, პარტნიორი უფლებამოსილია მოითხოვოს ფაზა 1-ით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გადაწევა, იმ პირობით, რომ პარტნიორის მიერ წარმოდგენილ იქნება შესაბამისი ვადით გახანგრძლივებული საბანკო გარანტია.

5. ერთობლივი საწარმოს დირექტორთა საბჭო

5.1 ერთობლივი საწარმო მართული უნდა იქნეს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მიერ.

5.2 საწარმოს დირექტორთა საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან. ერთ წევრს წარადგენს GEDF, ხოლო ორ წევრს კი პარტნიორი. გადაყვეტილებას მათ დანიშვნასთან დაკავშირებით იღებს პარტნიორთა საერთო კრება. 5

5.3 პარტნიორის მიერ წარდგენილი დირექტორთა საბჭოს წევრებიდან ერთ-ერთი არჩეულ

უნდა იქნეს ერთობლივი საწარმოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ („თავმჯდომარე“). იმ შემთხვევაში, როცა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვერ ესწრება საბჭოს შეხვედრას, საბჭოს წევრები თანხმდებიან ამ კონკრეტულ შეხვედრაზე თავმჯდომარედ ერთ-ერთი საბჭოს წევრის არჩევაზე. თუ დირექტორთა საბჭოს წევრები ვერ შეთანხმდნენ, შეხვედრა ვერ შედგება.

5.4 დირექტორთა საბჭოს შეხვედრებზე საბჭოს თითოეულ წევრს (მათ შორის თავმჯდომარესაც) აქვს ერთი ხმის უფლება.

5.5 შეხვედრის კვორუმი განისაზღვრება ერთობლივი საწარმოს დირექტორთა საბჭოს ორი წევრით. საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

5.6 დირექტორთა საბჭოს სხდომა ტარდება სულ მცირე ყოველ სამ თვეში.

6. პარტნიორთა საერთო კრება

6.1 პარტნიორთა საერთო კრება არის საზოგადოების უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. საერთო კრებაზე ხმის უფლების რაოდენობა განისაზღვრება წილის მიხედვით.

6.2 პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას.

6.3 პარტნიორთა საერთო კრება წარადგენს და ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს წევრებს. აცნობებს პარტნიორებს წინა წლის მნიშვნელოვან ფინანსურ და ბიზნეს აქტივობების და მომავალი გეგმების შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს დივიდენდების განაწილებისა და აუდიტორის აყვანის შესახებ.

6.4 პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევისა და კრების ჩატარების ადგილის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორთა საბჭო ან კრების მოწვევის ინიციატორი პარტნიორი, რომლის წილიც ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეადგენს არანაკლებ 10%-ს. თუ პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების ადგილი არის საქართველოს საზღვრებს გარეთ, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს დირექტორთა საბჭოს მიერ ერთხმად.

6.5 კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ ყველა პარტნიორს სათანადო წესით ეცნობა პარტნიორთა საერთო კრების გამართვის შესახებ და მას ესწრება პარტნიორთა უბრალო უმრავლესობა (50%-ზე მეტი) პირადად ან მინდობილობის საფუძველზე.

6.6 პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

6.6.1 საზოგადოების საქმიანობასთან (ბიზნესთან) დაკავშირებული ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა;

- 6.6.2 საზოგადოების წლიური ბიუჯეტის და/ან ბიზნეს-გეგმის დამტკიცება;
- 6.6.3 საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნა, მათი ანაზღაურების განსაზღვრა და ასევე, საზოგადოების დირექტორთა საბჭოს წევრების გათავისუფლება;
- 6.6.4 საზოგადოების წესდების დამტკიცება, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- 6.6.5 დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა;
- 6.6.6 სესხის და კრედიტების აღება და მათ უზრუნველყოფა;
- 6.6.7 დამტკიცებული ბიუჯეტის და/ან ბიზნეს-გეგმის მიღმა ვალდებულებების აღება ან ფულადი სახსრების გაზრდა და დამტკიცებული ბიუჯეტის და/ან ბიზნეს გეგმის შესაბამისი ცვლილება;
- 6.6.8 საზოგადოების საშტატო განრიგისა და სტრუქტურის დამტკიცება;
- 6.6.9 საზოგადოების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- 6.6.10 პარტნიორის მიერ წილის გასხვისება;
- 6.6.11 პარტნიორისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ან გაუქმება;
- 6.6.12 საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება;
- 6.6.13 ნებისმიერი ვალდებულების აღება, ვალდებულების უზრუნველყოფა, ან ნებისმიერი ხელშეკრულების დადება, რომელთა ღირებულება ცალკე ან ჯამში ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში აღემატება 100,000 ლარს;
- 6.6.14 მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

6.7 პარტნიორთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. კრების დროს მიღებული გადაწყვეტილება უნდა აისახოს კრების ოქმში და ხელმოწერილ იქნას პარტნიორების ან მათი წარმომადგენლების მიერ.

7. პარტნიორის შესყიდვის ოფცია

7.1 GEDF ანიჭებს პარტნიორს შესყიდვის ოფციას, რომელიც შესყიდვის ოფციის მოქმედების პერიოდში მას საშუალებას აძლევს შეისყიდოს ერთობლივ საწარმოში GEDF-ის წილი („შესყიდვის ოფციით მისაღები წილი“) პარტნიორის მიერ წერილობითი შეტყობინების („შესყიდვის მოთხოვნის შეტყობინება“) საფუძველზე. შესყიდვის ოფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შესყიდვის მოთხოვნის შეტყობინების GEDF-ისთვის ჩაბარების გზით ნებისმიერ დროს შესყიდვის ოფციის პერიოდის განმავლობაში.

7.2 შესყიდვის ოფციით მისაღები წილის ფასი („შესყიდვის ოფციის გამოყენების ფასი“) გამოითვლება ერთობლივი საწარმოს კაპიტალში GEDF-ის მიერ განხორციელებულ შენატანზე (ფულადი ან არაფულადი) წილის გადაცემის რეგისტრაციის დღიდან - შესყიდვის ოფციის დასრულების თარიღისთვის წლიური პროცენტის დამატებით.

8. GEDF-ის გაყიდვის ოფცია

8.1 პარტნიორი ანიჭებს GEDF-ს გაყიდვის ოფციას, რომელიც გაყიდვის ოფციის

მოქმედების პერიოდში მას საშუალებას აძლევს პარტნიორზე გაყიდოს ერთობლივ საწარმოში საკუთარი წილი („გაყიდვის ოფციით გასაცემი წილი“), პარტნიორისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე („გაყიდვის მოთხოვნის შეტყობინება“). გაყიდვის ოფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას გაყიდვის მოთხოვნის შეტყობინების პარტნიორისთვის მიწოდების გზით ნებისმიერ დროს გაყიდვის ოფციის პერიოდის განმავლობაში.

8.2 გაყიდვის ოფციით პარტნიორის მიერ მისაღები წილის ფასი („გაყიდვის ოფციის გამოყენების ფასი“) გამოითვლება GEDF-ის მიერ ერთობლივი საწარმოს კაპიტალში განხორციელებულ შენატანზე (ფულადი ან არაფულადი) წილის გადაცემის რეგისტრაციის დღიდან - გაყიდვის ოფციის დასრულების თარიღისთვის წლიური პროცენტის დამატებით.

9. უპირატესი შესყიდვის უფლება

9.1 მხარეები“ თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ ერთობლივი საწარმოს წილის გასხვისების შემთხვევაში მეორე მხარე ისარგებლებს უპირატესი შესყიდვის უფლებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე გადაწყვეტს გაასხვისოს ერთობლივი საწარმოში მისი კუთვნილი წილი სრულად ან ნაწილობრივ, მან, პირველ რიგში, უნდა შესთავაზოს ამგვარი წილი უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პარტნიორებს მათთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც უნდა გაიგზავნოს დაზღვეული ფოსტით ჩაბარების დადასტურებით. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გასაყიდი წილის მოცულობასა და ღირებულებას.

10. ფონდის „Tag Along“ უფლება:

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ფონდს ენიჭება ე.წ. „Tag Along“ უფლება, რომლის საფუძველზეც, თუ პარტნიორი გადაწყვეტს მესამე მხარეს მიჰყიდოს თავისი კუთვნილი წილი, იგი ვალდებულია მესამე მხარეს საკუთარი წილის შესყიდვა შესთავაზოს მხოლოდ GEDF-ის წილთან ერთად. ამასთან თუ ფონდი უარს განაცხადებს აღნიშნული უფლების გამოყენებაზე და საკუთარი წილის გასხვისებაზე, პარტნიორი უფლებამოსილია მოახდინოს საკუთარი წილის დამოუკიდებლად გასხვისება, წინამდებარე საპარტნიორო შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

11. შესატყვისი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

11.1 წინამდებარე შეთანხმება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 8

11.2 იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა ვერ გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, დავა უნდა გადაწყდეს საბოლოოდ მხოლოდ საქართველოს

სასამართლოს მიერ.

11.3 შეთანხმებები და მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოქმედია და სრულ ძალაშია დავის პროცესის მიმდინარეობის მთელ პერიოდში.

11.4 თითოეული მხარე თანხმდება, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.5 სასამართლო პროცესის ხარჯებს კისრულობენ მხარეები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

12. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

12.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით ამ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა სახის აუცილებელი დოკუმენტის ხელმოსაწერად, რომლის მიზნითაც ისინი მოქმედებენ სრულ შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, იქნება ეს კანონი, კანონქვემდებარე აქტი, თუ სხვა ნებისმიერი სახის ნორმატიული აქტი.

12.2. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას და ადასტურებენ, რომ ხელმოწერილი შეთანხმება, წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მავალეხელ სამართლებრივ დოკუმენტს.

12.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას და ადასტურებენ, რომ შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული მათი განცხადებები და გარანტიები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ პერიოდზე.

13. ფორს მაჟორი

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად შეთანხმების ან მასში მოცემული რომელიმე ვალდებულების შესრულება შეზღუდულია, შეფერხებულია ან შეუძლებელი გახდა ისეთი გარემოებათა გამო, რომელზეც შეთანხმების მხარის კონტროლი არ ვრცელდება, კერძოდ, ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, გრიგალი, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა; ომი (განურჩევლად იმისა არის თუ არა ის გამოცხადებული), რევოლუცია, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება ან ნებისმიერი სხვა ისეთი გარემოება, რაც მოქმედი კანონმდებლობისა და სახელშეკრულებო სამართლის დამკვიდრებული პრინციპების თანახმად შეიძლება ჩაითვალოს ფორს მაჟორული ხასიათის მქონედ და რამაც გამოიწვია მხარეთა (ან ერთ-ერთი მხარის) მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან დათქმულ ვადებში შეუსრულებლობა, მაშინ ასეთი მხარე გათავისუფლდება წინამდებარე შეთანხმებით⁹ ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების მთელი დროის მანძილზე. ამასთანავე, ასეთი მხარე

დაუყოვნებლივ აცნობებს მეორეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების თავიდან ასაცილებლად, მისი ხანგრძლივობის ან შედეგის მინიმუმამდე დასაყვანად და ფორს მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლებს მასზე შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

13.2. მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის საკითხი ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამ) თვეზე მეტი დროით მოქმედების შემთხვევაში, და დააყენონ ორმხრივი რესტიტუციის საკითხი. აგრეთვე უფლება აქვთ მიაღწიონ მათთვის მისაღებ ნებისმიერი სხვა სახის მორიგებას.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს, რაც გამოწვეულ იქნა წინამდებარე შეთანხმების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი (არა დროული) შესრულებით,

15. დასკვნითი დებულებები.

15.1. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

15.2. წინამდებარე შეთანხმების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.3. ამ შეთანხმებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება შევიდეს მხოლოდ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე.

15.4. თუ შეთანხმების რომელიმე დებულება ბათილად ან ძალადაკარგულად იქნება ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს შეთანხმების დანარჩენი დებულებების ნამდვილობაზე და შეთანხმებას ექნება მთლიანი ძალა და ეფექტი იმ შემთხვევაში, თუ ამით ხელშეკრულების მიზანი სრულად მიიღწევა.

15.5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 (ორი) ქართულენოვან ეგზემპლარად,¹⁰ რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

GEDF

სს „საქართველოს ენერჯეტიკის
განვითარების ფონდი“

ს/კ 404391975

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. #8, მე-4
სართ.

**დირექტორი
გიორგი ჩიქოვანი**

პარტნიორი